

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4 2017 წლის 20 თებერვალი

ქ. საჩხერე

„საჩხერის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის განსაზღვრის შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების საფუძველზე, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „საჩხერის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის განსაზღვრის შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 იანვრის №1 დადგენილებაში (სსმ, 20/01/2017, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.130.016211) და დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საჩხერის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

თამაზ ნადირაძე

დანართი

თავი I

საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:
ათას ლარებში

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | | | 2017 წლის გეგმა | | |
|--------------------|-----------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 14,597.7 | 14,634.8 | 6,377.6 | 8,257.2 | 8,680.1 | 190.0 | 8,490.1 |
| გადასახადები | 329.3 | 1,254.2 | 0.0 | 1,254.2 | 1,330.0 | 0.0 | 1,330.0 |
| გრანტები | 12,794.1 | 12,337.0 | 6,377.6 | 5,959.4 | 6,471.5 | 190.0 | 6,281.5 |
| სხვა შემოსავლები | 1,474.3 | 1,043.6 | 0.0 | 1,043.6 | 878.6 | 0.0 | 878.6 |
| ხარჯები | 7,767.2 | 7,798.5 | 492.6 | 7,305.9 | 7,083.5 | 190.0 | 6,893.5 |
| შრომის ანაზღაურება | 1,568.6 | 1,988.1 | 87.5 | 1,900.6 | 1,868.7 | 88.5 | 1,780.2 |



| | | | | | | | |
|---------------------------------|----------|---------|---------|---------|----------|--------|---------|
| საქონელი და მომსახურება | 1,451.7 | 1,258.0 | 214.0 | 1,044.0 | 1,156.0 | 5.5 | 1,150.5 |
| სუბსიდიები | 3,017.4 | 3,439.3 | 99.3 | 3,340.0 | 3,277.5 | 95.0 | 3,182.5 |
| გრანტები | 366.1 | 22.6 | 0.0 | 22.6 | 19.0 | 0.0 | 19.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 492.4 | 877.8 | 87.9 | 789.9 | 599.1 | 1.0 | 598.1 |
| სხვა ხარჯები | 871.0 | 212.7 | 3.9 | 208.8 | 163.2 | 0.0 | 163.2 |
| საოპერაციო საღდო | 6,830.5 | 6,836.3 | 5,885.0 | 951.3 | 1,596.6 | 0.0 | 1,596.6 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 8,372.5 | 6,771.9 | 5,960.7 | 811.2 | 2,358.1 | 368.1 | 1,990.0 |
| ზრდა | 8,394.9 | 6,868.2 | 5,960.7 | 907.5 | 2,378.1 | 368.1 | 2,010.0 |
| კლება | 22.4 | 96.3 | 0.0 | 96.3 | 20.0 | 0.0 | 20.0 |
| მოლიანი საღდო | -1,542.0 | 64.4 | -75.7 | 140.1 | -761.5 | -368.1 | -393.4 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -1,542.5 | -25.0 | -123.6 | 98.6 | -1,171.3 | -664.8 | -506.5 |
| ზრდა | 0.0 | 20.0 | 0.0 | 20.0 | 43.5 | 0.0 | 43.5 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0.0 | 20.0 | 0.0 | 20.0 | 43.5 | 0.0 | 43.5 |
| კლება | 1,542.5 | 45.0 | 123.6 | -78.6 | 1,214.8 | 664.8 | 550.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 1,542.5 | 45.0 | 123.6 | -78.6 | 1,214.8 | 664.8 | 550.0 |
| ვალდებულებების ცვლილება | -0.5 | -89.4 | -47.9 | -41.5 | -409.8 | -296.7 | -113.1 |
| კლება | 0.5 | 89.4 | 47.9 | 41.5 | 409.8 | 296.7 | 113.1 |
| საშინაო | 0.5 | 89.4 | 47.9 | 41.5 | 409.8 | 296.7 | 113.1 |
| ბალანსი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

მუხლი 2. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | | | 2017 წლის გეგმა | | |
|------------|-----------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| | | | | | | | |



| | | | | | | | |
|------------------------------|---------|---------|--------|--------|---------|--------|--------|
| შემოსულობები | 14620.1 | 14731.1 | 6377.6 | 8353.5 | 8700.1 | 190.0 | 8510.1 |
| შემოსავლები | 14597.7 | 14634.8 | 6377.6 | 8257.2 | 8680.1 | 190.0 | 8490.1 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 22.4 | 96.3 | 0.0 | 96.3 | 20.0 | 0.0 | 20.0 |
| გადასახდელები | 16162.6 | 14776.1 | 6501.2 | 8274.9 | 9914.9 | 854.8 | 9060.1 |
| ხარჯები | 7767.2 | 7798.5 | 492.6 | 7305.9 | 7083.5 | 190.0 | 6893.5 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 8394.9 | 6868.2 | 5960.7 | 907.5 | 2378.1 | 368.1 | 2010.0 |
| ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 20.0 | 0.0 | 20.0 | 43.5 | 0.0 | 43.5 |
| ვალდებულებების კლება | 0.5 | 89.4 | 47.9 | 41.5 | 409.8 | 296.7 | 113.1 |
| ნაშთის ცვლილება | -1542.5 | -45.0 | -123.6 | 78.6 | -1214.8 | -664.8 | -550.0 |

თავი II

საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

მუხლი 3. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 8680,1 ათასი ლარის ოდენობით:

ათას ლარებში

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | | | 2017 წლის გეგმა | | |
|------------------|-----------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 14597.7 | 14634.8 | 6377.6 | 8257.2 | 8680.1 | 190.0 | 8490.1 |
| გადასახადები | 329.3 | 1254.2 | 0.0 | 1254.2 | 1330.0 | 0.0 | 1330.0 |
| გრანტები | 12794.1 | 12337.0 | 6377.6 | 5959.4 | 6471.5 | 190.0 | 6281.5 |
| სხვა შემოსავლები | 1474.3 | 1043.6 | 0.0 | 1043.6 | 878.6 | 0.0 | 878.6 |

მუხლი 4. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახადები 1330,0 ათასი ლარის ოდენობით:

ათას ლარებში

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |
|------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| გადასახადები | 329.3 | 1254.2 | 1330.0 |
| საშემოსავლო გადასახადი | 0.0 | 761.4 | 850.0 |



| | | | |
|--|-------|-------|-------|
| გადასახადი მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავალი | 0.0 | 761.4 | 850.0 |
| ქონების გადასახადი | 329.3 | 492.8 | 480.0 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 139.1 | 242.6 | 385.0 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 106.7 | 105.0 | 20.0 |
| ეკონომიკურ საქმიანობაზე გამოყენებულ ქონებაზე | 5.1 | 0.1 | 5.0 |
| არაეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე | 101.6 | 104.9 | 15.0 |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი | 10.0 | 37.3 | 15.0 |
| ფიზიკური პირებიდან | 8.9 | 8.9 | 10.0 |
| იურიდიული პირებიდან | 1.1 | 28.4 | 5.0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი | 68.4 | 107.9 | 60.0 |
| ფიზიკური პირებიდან | 15.9 | 25.3 | 10.0 |
| იურიდიული პირებიდან | 52.5 | 82.6 | 50.0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული ქონების გადასახადი | 5.1 | 0.0 | 0.0 |

მუხლი 5. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გრანტები 6471,5 ათასი ლარის ოდენობით:

ათას ლარებში

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |
|--|-----------------|-----------------|-----------------|
| გრანტები | 12794.1 | 12337.0 | 6471.5 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 12794.1 | 12337.0 | 6471.5 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 6454.4 | 5959.4 | 6281.5 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 190.0 | 188.5 | 190.0 |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 6149.7 | 6189.1 | 0.0 |
| საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები | 87.2 | 0.0 | 0.0 |
| საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები | 4176.4 | 3158.2 | 0.0 |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სახსრები | 968.5 | 918.5 | 0.0 |
| საქართველოს მთავრობის განკარგულებით სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გამოყოფილი სახსრები | 917.6 | 1637.4 | 0.0 |
| მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები | 0.0 | 475.0 | 0.0 |



მუხლი 6. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 878,6 ათასი ლარის ოდენობით:

ათას ლარებში

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |
|---|-----------------|-----------------|-----------------|
| სხვა შემოსავლები | 1474.3 | 1043.6 | 878.6 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 894.8 | 554.4 | 491.0 |
| პროცენტები | 429.3 | 129.4 | 90.0 |
| დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები | 429.3 | 129.4 | 90.0 |
| რენტა | 465.5 | 425.0 | 401.0 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 465.4 | 424.9 | 400.0 |
| მოსაკრებელი წიაღით სარგებლობისათვის | 167.9 | 0.0 | 247.0 |
| მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის | 115.7 | 0.0 | 70.0 |
| მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის | 0.0 | 0.0 | 1.0 |
| მოსაკრებელი გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე | 4.3 | 0.0 | 2.0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი | 177.5 | 424.9 | 80.0 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 0.1 | 0.1 | 1.0 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 67.3 | 237.6 | 257.6 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 53.1 | 179.7 | 176.6 |
| საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | 0.0 | 0.0 | 0.1 |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 0.0 | 0.4 | 0.5 |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 0.0 | 120.5 | 120.0 |
| სისტემურ- ელექტრონული ფორმის თამაშობებიდან | 0.0 | 120.5 | 120.0 |
| მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 53.1 | 52.4 | 50.0 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 9.7 | 6.4 | 6.0 |
| მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის | 9.7 | 6.4 | 6.0 |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 4.5 | 57.9 | 81.0 |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 4.5 | 57.9 | 81.0 |



| | | | |
|--|-------|-------|-------|
| შემოსავლები შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 4.5 | 57.9 | 81.0 |
| სანქციები (ჯარიმები და საურავები) | 245.0 | 142.0 | 120.0 |
| შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო | 244.3 | 142.0 | 118.0 |
| შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში | 19.4 | 10.7 | 10.0 |
| შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში | 56.6 | 14.4 | 15.0 |
| შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში | 148.5 | 101.5 | 85.0 |
| საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო | 80.2 | 78.8 | 70.0 |
| სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში | 68.3 | 22.7 | 15.0 |
| შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ვაჭრობისა და ფინანსების დარგში | 0.3 | 0.7 | 0.0 |
| შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საზოგადოებრივი წესრიგის ხელშეყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო | 3.4 | 0.7 | 2.0 |
| შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელშეყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო | 15.9 | 6.8 | 5.0 |
| შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებულ სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო | 0.2 | 7.0 | 1.0 |
| შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევების გამო | 0.0 | 0.0 | 1.0 |
| შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) | 0.7 | 0.0 | 1.0 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 267.2 | 109.6 | 10.0 |
| შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან | 230.5 | 0.0 | 0.0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 36.7 | 109.6 | 10.0 |

თავი III

საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარეჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარეჯები

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ხარეჯები 7083,5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში



| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | | | 2017 წლის გეგმა | | |
|---|-----------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები | 7,767.2 | 7,798.5 | 492.6 | 7,305.9 | 7,083.5 | 190.0 | 6,893.5 |
| შრომის ანაზღაურება | 1,568.6 | 1,988.1 | 87.5 | 1,900.6 | 1,868.7 | 88.5 | 1,780.2 |
| საქონელი და მომსახურება | 1,451.7 | 1,258.0 | 214.0 | 1,044.0 | 1,156.0 | 5.5 | 1,150.5 |
| შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 87.9 | 98.9 | 0.0 | 98.9 | 86.0 | 0.0 | 86.0 |
| მივლინება | 15.9 | 12.1 | 0.0 | 12.1 | 22.0 | 0.0 | 22.0 |
| ოფისის ხარჯები | 280.0 | 244.9 | 39.1 | 205.8 | 241.1 | 5.5 | 235.6 |
| წარმომადგენლობითი ხარჯები | 28.0 | 32.1 | 0.0 | 32.1 | 17.0 | 0.0 | 17.0 |
| კვების ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები | 3.0 | 2.7 | 0.0 | 2.7 | 0.7 | 0.0 | 0.7 |
| ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | 71.3 | 91.5 | 0.0 | 91.5 | 104.5 | 0.0 | 104.5 |
| სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 965.6 | 775.8 | 174.9 | 600.9 | 684.7 | 0.0 | 684.7 |
| სუბსიდიები | 3,017.4 | 3,439.3 | 99.3 | 3,340.0 | 3,277.5 | 95.0 | 3,182.5 |
| გრანტები | 366.1 | 22.6 | 0.0 | 22.6 | 19.0 | 0.0 | 19.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 492.4 | 877.8 | 87.9 | 789.9 | 599.1 | 1.0 | 598.1 |
| სხვა ხარჯები | 871.0 | 212.7 | 3.9 | 208.8 | 163.2 | 0.0 | 163.2 |

მუხლი 8. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 2358,1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 2378,1 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

| | | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |
|--|--|-----------------|-----------------|
|--|--|-----------------|-----------------|



| პროგრამული კოდი | დასახელება | 2015 წლის ფაქტი | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
|-----------------|---|-----------------|--------|---|----------------------|--------|---|----------------------|
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 220.1 | 138.2 | 5.4 | 132.8 | 100.1 | 0.0 | 100.1 |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 1.6 | 3.1 | 0.0 | 3.1 | 7.8 | 0.0 | 7.8 |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 7249.1 | 5790.4 | 5141.9 | 648.5 | 1831.1 | 158.1 | 1673 |
| 04 00 | განათლება | 604.7 | 165.6 | 101.3 | 64.3 | 38.8 | 0.0 | 38.8 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 319.4 | 767.9 | 711.1 | 56.8 | 400.3 | 210.0 | 190.3 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 0.0 | 3.0 | 1.0 | 2.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ჯამი | 8394.9 | 6868.2 | 5,960.7 | 907.5 | 2378.1 | 368.1 | 2,010.0 |

ბ) განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 20.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათას ლარებში

| შემოსულობების კოდი | დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |
|--------------------|---|-----------------|-----------------|-----------------|
| 31 | არაფინანსური აქტივები | 22.4 | 96.3 | 20.0 |
| 311 | ძირითადი აქტივები | 4.6 | 78.3 | 10.0 |
| 3111 | შენობა-ნაგებობები | 4.6 | 78.3 | 10.0 |
| 31112 | არასაცხოვრებელი შენობები | 4.6 | 78.3 | 10.0 |
| 312 | შემოსულობა მატერიალური მარაგების გაყიდვიდან | 5.0 | 0.0 | 0.0 |
| 3122 | სხვა მატერიალური მარაგების გაყიდვიდან | 5.0 | 0.0 | 0.0 |
| 314 | არაწარმოებული აქტივები | 12.8 | 18.0 | 10.0 |
| 3141 | მიწა | 12.8 | 18.0 | 10.0 |



მუხლი 9. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია
 განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | | | 2017 წლის გეგმა | | |
|--------------------|---|-----------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 2,165.8 | 2,563.9 | 5.4 | 2,558.5 | 2,569.2 | 0.0 | 2,569.2 |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 2,165.8 | 2,563.9 | 5.4 | 2,558.5 | 2,564.2 | 0.0 | 2,564.2 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 2,165.8 | 2,563.9 | 5.4 | 2,558.5 | 2,494.2 | 0.0 | 2,494.2 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 70.0 | 0.0 | 70.0 |
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 5.0 | 0.0 | 5.0 |
| 702 | თავდაცვა | 127.2 | 154.6 | 87.5 | 67.1 | 158.7 | 94.0 | 64.7 |
| 7021 | შეიარაღებული ძალები | 127.2 | 154.6 | 87.5 | 67.1 | 158.7 | 94.0 | 64.7 |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 341.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 7032 | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა | 341.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 5,909.6 | 4,525.4 | 4,077.6 | 447.8 | 1,487.3 | 97.2 | 1,390.1 |
| 7045 | ტრანსპორტი | 4,730.7 | 3,702.0 | 3,254.2 | 447.8 | 1,233.2 | 52.1 | 1,181.1 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 4,730.7 | 3,702.0 | 3,254.2 | 447.8 | 1,233.2 | 52.1 | 1,181.1 |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | 1,178.9 | 823.4 | 823.4 | 0.0 | 254.1 | 45.1 | 209.0 |
| 705 | გარემოს დაცვა | 735.9 | 995.0 | 464.6 | 530.4 | 670.3 | 60.9 | 609.4 |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 506.1 | 348.8 | 0.0 | 348.8 | 360.0 | 0.0 | 360.0 |



| | | | | | | | | |
|------|--|---------|---------|-------|---------|---------|-------|---------|
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 63.9 | 315.9 | 247.9 | 68.0 | 150.3 | 60.9 | 89.4 |
| 7053 | გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა | 104.1 | 218.3 | 216.7 | 1.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 7054 | ბიომრავალფეროვნებისა დალანშაფტების დაცვა | 61.8 | 112.0 | 0.0 | 112.0 | 160.0 | 0.0 | 160.0 |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 2,301.0 | 1,134.8 | 817.6 | 317.2 | 268.5 | 0.0 | 268.5 |
| 7061 | ბინათომშენებლობა | 627.0 | 6.0 | 0.0 | 6.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 7062 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 320.3 | 74.7 | 0.0 | 74.7 | 13.0 | 0.0 | 13.0 |
| 7063 | წყალმომარაგება | 1,143.4 | 943.9 | 817.6 | 126.3 | 60.5 | 0.0 | 60.5 |
| 7064 | გარე განათება | 149.0 | 107.7 | 0.0 | 107.7 | 195.0 | 0.0 | 195.0 |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 61.3 | 2.5 | 0.0 | 2.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 102.5 | 139.7 | 100.3 | 39.4 | 95.0 | 95.0 | 0.0 |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 102.5 | 102.3 | 100.3 | 2.0 | 95.0 | 95.0 | 0.0 |
| 7076 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | 0.0 | 37.4 | 0.0 | 37.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 1,869.2 | 2,207.3 | 711.1 | 1,496.2 | 1,717.8 | 210.0 | 1,507.8 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 645.7 | 754.3 | 152.0 | 602.3 | 873.9 | 210.0 | 663.9 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 1,141.3 | 1,413.0 | 559.1 | 853.9 | 798.9 | 0.0 | 798.9 |
| 7083 | ტელერადიომუწეობა და საგამომცემლო საქმიანობა | 13.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 68.8 | 40.0 | 0.0 | 40.0 | 45.0 | 0.0 | 45.0 |
| 709 | განათლება | 2,029.2 | 1,971.8 | 101.3 | 1,870.5 | 1,838.8 | 0.0 | 1,838.8 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 1,758.4 | 1,767.3 | 101.3 | 1,666.0 | 1,686.8 | 0.0 | 1,686.8 |
| 7096 | განათლების სფეროში დამხმარე მომსახურება | 109.5 | 29.7 | 0.0 | 29.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 7098 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 161.3 | 174.8 | 0.0 | 174.8 | 152.0 | 0.0 | 152.0 |
| 710 | სოციალური დაცვა | 580.0 | 974.2 | 87.9 | 886.3 | 656.0 | 1.0 | 655.0 |
| | ავადმყოფთა და შეზღუდული | | | | | | | |



| | | | | | | | | |
|-------|---|----------|---------|---------|---------|---------|-------|---------|
| 7101 | შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 340.5 | 486.5 | 0.0 | 486.5 | 295.0 | 0.0 | 295.0 |
| 71011 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 255.9 | 412.5 | 0.0 | 412.5 | 250.0 | 0.0 | 250.0 |
| 71012 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 84.6 | 74.0 | 0.0 | 74.0 | 45.0 | 0.0 | 45.0 |
| 7102 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 17.6 | 16.0 | 0.0 | 16.0 | 15.0 | 0.0 | 15.0 |
| 7103 | მარჩენადაკარგულ პირთა სოციალური დაცვა | 20.1 | 19.0 | 0.0 | 19.0 | 20.0 | 0.0 | 20.0 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 115.7 | 292.7 | 87.2 | 205.5 | 140.0 | 0.0 | 140.0 |
| 7106 | საცხოვრებლით უზრუნველყოფა | 8.9 | 5.0 | 0.0 | 5.0 | 10.0 | 0.0 | 10.0 |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 45.2 | 48.1 | 0.0 | 48.1 | 59.0 | 0.0 | 59.0 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 32.0 | 106.9 | 0.7 | 106.2 | 117.0 | 1.0 | 116.0 |
| | სულ | 16,162.1 | 14666.7 | 6,453.3 | 8,213.4 | 9,461.6 | 558.1 | 8,903.5 |

მუხლი 10. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -761,5 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

- განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -1171.3 ათასი ლარის ოდენობით.
- განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 43,5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

| ფინანსური აქტივების ზრდა | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |
|--------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| ზრდა | 0.0 | 20.0 | 43.5 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0.0 | 20.0 | 43.5 |

- განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება – 1214,8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| ფინანსური აქტივების კლება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა |
|---------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| ვალუტა და დეპოზიტები | 1542.5 | 45.0 | 1214.8 |



თავი IV

საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივების ცვლილება და სარეზერვო ფონდი

მუხლი 12. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა 70.0 ათასი ლარის ოდენობით:

თავი V

საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 13. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

განისაზღვროს საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები (პირველი დონე), მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე დონე) შემდეგი რედაქციით:

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის საჩხერის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა აღრიცხვა, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა, რაც დაფინანსებულია მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

1.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა კანონმდებლობების მიხედვით თვითმმართველი ერთეულისათვის წარმოადგენს დელეგირებულ უფლებამოსილებას და ამ პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები მთლიანად მოხმარდება მუნიციპალიტეტის სამხედრო სამსახურის მიერ წვევანდელთა სამხედრო აღრიცხვის ღონისძიებების, წვევამდელთა გაწვევის ორგანიზების, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევის, შესაბამის გამწვევ პუნქტებამდე ტრანსპორტირების, რეზერვის აღრიცხვის, გაწვევის ორგანიზებისა და სხვა კანონმდებლობებით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსებას.

პროგრამის განხორციელებით უზრუნველყოფილი იქნება სამხედრო ვალდებულთა სრული აღრიცხვა, შეიარაღებულ ძალებში სამსახურის პოპულარიზაცია და ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება დასუფთავების ღონისძიებები, გარე განათების ქსელის გაფართოება, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება, რაც თავის თავში გულისხმობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას. ქუჩებში მოეწყობა გარეგანათების ქსელი, მოხდება ქუჩების ტროტუარების რეაბილიტაცია, გაგრძელდება არსებული გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა, დასუფთავების ღონისძიებები, უმეტესადაა დაარჩენილი ცხოველების იზოლირება, სანიაღვრე არხების შლამისა და ნატანისაგან გაწმენდა, მათ აღდგენა და მოვლა-პატრონობა, მინი სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობა, არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-შენახვა, გამწვანების სამუშაოები და სხვა.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საჩხერის მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება, ასევე დაგეგმილია ცენტრალურ გზაზე სიჩქარის განმსაზღვრელი რადარების მოწყობა. ქუჩების ტროტუარების



რეზილიტაცია. ასევე გზის საფარის თოვლისგან გაწმენდა საჭიროების შემთხვევაში.

2.1.1 საყრდენი კედლის მოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ორი ერთეული საყრდენი კედლის მოწყობა-რეაბილიტაცია, რაც გააუმჯობესებს ქალაქის იერსახეს.

2.1.2 თოვლისგან გზის გაწმენდის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია თოვლისგან გზების გაწმენდა და მოყინულ გზებზე მარილის მოყრა, ამით დაცული იქნება მოქალაქეების უსაფრთხო გადაადგილება.

2.1.3 ხიდების, ბოგირების მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში არსებულ მდინარეებზე ხიდების მოწყობა და ასევე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის უსაფრთხო გადასვლას მდინარეზე.

2.1.4 საგზაო ნიშნების დამონტაჟება და ქუჩების მონიშნვითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 01 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ცენტრალურ გზაზე ავტომობილებისათვის სიჩქარის განმსაზღვრელი რადარების დაყენება, რაც ხელს შეუწყობს ავარიული სიტუაციების შემცირებას, მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებას და წესრიგის შენარჩუნებას.

2.1.5 ქალაქ საჩხერეში ქუჩების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 06)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქუჩების ტროტუარების და სხვადასხვა ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა, რითაც გააუმჯობესდება ქალაქში ფეხითა და ავტომობილით მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილება.

2.1.6 მისასვლელი და საუბნო გზების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 08)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სოფელში რკინა-ბეტონის გზების მოწყობა, რითაც გააუმჯობესდება მუნიციპალიტეტის სოფლებში ფეხითა და ავტომობილით მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილება.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საკანალიზაციო სისტემების, კოლექტორებისა და გამწმენდი ნაგებობების ექსპლოატაცია, გარე განათების ქსელის მოვლა-ექსპლოატაცია. უზრუნველყოფილი იქნება ქ. საჩხერისა და მუნიციპალიტეტის სხვა დასახლებული პუნქტების დასუფთავება და ნაგვის გატანა.

2.2.1 დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. საჩხერის ქუჩების, სკვერების, მოედნების ყოველდღიური დასუფთავება. ქ. საჩხერიდან და მუნიციპალიტეტის რიგი სოფლებიდან და ცენტრალური საავტომობილო გზის პირებიდან ნაგვის გატანა, ნაგავსაყრელამდე მიტანა და სხვა. ამ ღონისძიებების განხორციელებით უზრუნველყოფილი იქნება სუფთა გარემო და კეთილსაიმედო სანიტარიული მდგომარეობა.

2.2.2 საკანალიზაციო სისტემის, კოლექტორების და გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა ქუჩაზე კანალიზაციის ქსელის მოწყობა.

2.2.3 საჩხერის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წყალმომარაგება (პროგრამული კოდი 03 02 05)



პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სასმელი წყლის პროექტირება და სასმელი წყლის ავზების მოწყობა.

2.2.4 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 06)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქ. საჩხერეში არსებული გარე განათების ქსელის ტექნიკური მოვლისა და მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯები. ასევე დამატებით სხვადასხვა ქუჩაზე მოეწყობა გარე განათების ქსელი.

2.2.4 სოფელ სარეკსა და სოფელ ბაჯითში სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 08)

არსებულ სოფლებში გაგრძელდება წყლის სისტემის რეაბილიტაცია.

2.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. საჩხერის გამწვანება და სკვერების მოვლა-პატრონობა.

2.3.1 ქ. საჩხერის გამწვანების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. საჩხერის ქუჩებში, სკვერებში და მოედნებზე არსებული მრავალწლიანი ნარგავების მოვლა-პატრონობა, მათი გასხვლა-გადაბეღვა, სკვერებში და გაზონებში ერთწლიანი ნარგავების, ყვავილების და სხვათა დარგვა და მოვლა-პატრონობა.

2.3.3. სკვერების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 03)

ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და გამწვანების ზოლების მოვლა-პატრონობა.

2.4 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები (პროგრამული კოდი 03 04)

ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მოსაცდელების მოწყობა, ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა, ასევე სხვადასხვა სოფლებში სარიტუალო დარბაზის სამშენებლო სამუშაოები, გზებზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობის აღზრდის მიმართებით ზოგად განათლებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში წელს განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ამასთან, ამ პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია ზოგადი განათლების ხელშეწყობა და სკოლისგარეშე დაწესებულებების დაფინანსება.

3.1 სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

საჩხერის მუნიციპალიტეტში დღეისათვის ფუნქციონირებს 20 საბავშვო ბაღი, აქედან 4 ქალაქში და 16 სხვადასხვა სოფელში. რომელთაც საერთო ხელმძღვანელობას უწევს ამ მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი. საბავშვო ბაღებში ირიცხება 1250 აღსაზრდელი, რომელთა აღზრდას ემსახურება 309 თანამშრომელი. ბიუჯეტიდან ერთი აღსაზრდელის აღზრდის დაფინანსებაზე უნდა დაიხარჯოს 452 ლარი, რომელიც უნდა მოხმარდეს შრომის ანაზღაურების, კვების, ინვენტარის შეძენის და სხვა ხარჯების დაფინანსებას.



3.2 ა(ა)იპ – საჩხერის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი (პროგრამული კოდი 04 03)

მოსწავლე-ახალგაზრდობის სწორი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლე-ახალგაზრდობის დაწესებულებების მიზანმიმართული საქმიანობა. სწორედ ამიტომ ამ პროგრამის ფარგლებში ამ საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელებისათვის განსაზღვრულია მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხარჯების დაფინანსება.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვისა და ღირსეული გაგრძელების ხელშეწყობა. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი აგრძელებს კულტურული, სპორტული და რელიგიური ორგანიზაციების და ახალგაზრდული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული და იმედისმომცემი სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა. იგეგმება მუნიციპალიტეტში არსებული მოდინახის ციხის აღდგენა, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას.

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული სკოლისა და საცურაო აუზის ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა. ამასთან, ამ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების მოწყობა და გაგრძელება იმედისმომცემ სპორტსმენებზე სტიპენდიების გაცემა.

4.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის მასშტაბის სპორტული ღონისძიებების მოწყობა. კერძოდ, ფეხბურთში, ჭადრაკში, ჩოგბურთში, ძალოსნობაში, ჭიდაობაში და სხვა. ამასთან იმედის მომცემ სპორტსმენზე წლის განმავლობაში გაიცემა სხვადასხვა სახის ჯილდოები.

4.1.2 ა(ა)იპ – საჩხერის სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ა(ა)იპ – საჩხერის სასპორტო სკოლა მთლიანად ფინანსდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით. აქ არსებულ 12 სპორტულ წრეში ჯანმრთელობას იკაჟებს 646 ბავშვი.

4.1.3 ა(ა)იპ – საჩხერის საცურაო აუზი (პროგრამული კოდი 05 01 03)

ა(ა)იპ – საჩხერის საცურაო აუზი საკუთარ შემოსავლებთან ერთად დაფინანსებას იღებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდანაც. აქ სპორტული მკურნალობის კურსს გადის სკოლიოზითა და სხვადასხვა ტრავმებით დაავადებული ბავშვები.

4.1.4 სპორტული ობიექტების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 04)

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ქ. საჩხერეში მაჭავარიანის ქუჩაზე ძალოსნობის დარბაზის მშენებლობა. ასევე სპორტული კომპლექსის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვა.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება და მოეწყობა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

ასევე, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მიერ ა(ა)იპ-ის ფორმით დაფუძნებული სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, კულტურის სახლების და მუზეუმების,



სულ 8 ერთეული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსება. შრომის ანაზღაურებასთან ერთად პროგრამა ითვალისწინებს სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსებასაც. განხორციელდება მოდინახის ციხის აღდგენა.

4.2.1 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)

ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია დაფინანსდეს გამოჩენილი ადამიანების საიუბილეო, საშობაო-საახალწლო, თეატრალურ-მუსიკალური ღონისძიებები, ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება ტრადიციული დღესასწაული საჩხერლობა.

4.3 კულტურის ობიექტების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 02)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კულტურის სახლის საპროექტო დოკუმენტაცია.

4.4 ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ახალგაზრდული ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას, სახელმწიფოებრივი აზროვნების განვითარებას, ესთეტიკურ აღზრდას, ახალგაზრდების ჩართულობას თავისი ქალაქისა და ქვეყნის განვითარებაში.

4.5 ჭიათურისა და საჩხერის ეპარქია (პროგრამული კოდი 05 06)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის ფინანსური დახმარება.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მოსახლეობის სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. არსებული რესურსების ფარგლებში გაგრძელდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფა. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

5.1 ჯანდაცვის პროგრამები (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერების ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციების გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამების, აგრეთვე პროფესიულ დაავადებათა თავიდან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიაზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.



5.2 სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებისა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებებს, ავადმყოფთა დახმარებას, სხვადასხვა ორგანიზების და ღონისძიებების სუბსიდირებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.2.1 ავადმყოფთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ავადმყოფთა სოციალური დაცვა. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა დახმარება შემდეგი სახის ავადმყოფებზე და შემდეგი ოდენობით:

1. საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ბენეფიციარს, რომელსაც ესაჭიროება გეგმური და გადაუდებელი სტაციონარულ-ქირურგიული ოპერაცია, თვალის რეფრაქციული ქირურგია, სიელმის ქირურგიული მკურნალობა, თვალის ლაზერული ქირურგია და სხვა სამედიცინო მომსახურება, სამედიცინო დაწესებულებაში მომსახურების წილობრივი თანხა ჩაერიცხება, სამკურნალო დაწესებულების ანგარიშზე, არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

2. ბენეფიციარს, რომელსაც ესაჭიროება: ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული, პოზიტრონულ-ემისიური და კომპიუტერული ტომოგრაფია (PET/CT), კორონოგრაფია, გასტროფიბროსკოპია, ფიბროსკოპია, ან სხვა სახის კვლევა, სახელმწიფო ან სხვა სამედიცინო სადაზღვევო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება განესაზღვროს არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

3. ქრონიკული დაავადებების მქონე მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფის კუთხით დასაფინანსებელ ბენეფიციართა კონტინგენტი:

ა) მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეპილექსიით დაავადებული პაციენტები ყოველთვიურად 50 (ორმოცდაათი) ლარამდე;

გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ თირკმლის ტრანსპლანტაციის მქონე ბენეფიციარებზე ყოველთვიურად 150 (ას ორმოცდაათი) ლარამდე.

4. მუნიციპალიტეტში მცხოვრები თირკმლის უკმარისობით დაავადებულ მოქალაქეებს, რომლებიც დიალიზის მკურნალობის კურსს გადიან სხვადასხვა ქალაქებში მიეცემათ 120 (ას ოცი) ლარი ყოველთვიურად, გაუთვალისწინებელი ხარჯების დაფარვისათვის.

5.2.2 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 02)

ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სოციალური უზრუნველყოფა, ყრუთა კავშირისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეგისტრირებული კავშირის სუბსიდირება.

5.2.2.1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 02 01)

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა დახმარება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე 100 (ასი) ლარის ოდენობით ერთჯერადად წელიწადში.

5.2.2.2 საქართველოს ყრუთა კავშირის საჩხერის ფილიალის ხარჯების სუბსიდირება (პროგრამული კოდი 06 02 02 02)



ამ პროგრამის ფარგლებში უნარშეზღუდულ ბავშვებზე გაიცემა სუბსიდია სხვადასხვა ხარჯებისათვის.

5.2.2.3 საჩხერის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რეგისტრირებული კავშირი (პროგრამული კოდი 06 02 02 03)

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა სუბსიდია სხვადასხვა ხარჯებისათვის.

5.2.3 ომის და შრომის ვეტერანებზე და მათ ოჯახებზე ფულადი ფორმით გასაცემი დახმარებები (პროგრამული კოდი 06 02 03)

1. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ომის მონაწილე ვეტერანებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარება მიეცემა:

- ა) სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე (ავღანეთი, უნგრეთი) მეზრძოლ ომის მონაწილეებს;
- ბ) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მეზრძოლებს;
- გ) სამხედრო ძალების ვეტერანებს;
- დ) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა მარჩენალდაკარგულ პირებს.

წლის განმავლობაში ერთჯერადად თანხის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება 100 (ასი) ლარამდე.

2. მეორე მსოფლიო ომში მონაწილეზე წახალისების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გაიცემა ფულადი დახმარება 9 მაისის ღონისძიებასთან დაკავშირებით 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

5.2.4 ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 04)

1. ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვების დახმარება მოხდება, წელიწადში არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა თითოეულ დაავადებულზე.

2. ოჯახს, რომელსაც შეეძინა მეექვსე და მეტი შვილი 0–18 წლის ჩათვლით ჩაერიცხება საბავშვო ანაბარზე ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით შესაბამის ბანკში 18 წლის ასაკამდე.

3. ოჯახს, რომელსაც შეეძინება მეოთხე და მეტი შვილი 0–18 წლის ჩათვლით მიეცემა ერთჯერადად 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

4. მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ხანდაზმულებს (90 წელი და ზევით) დახმარება მიეცემათ ერთჯერადად წელიწადში, თანხის ოდენობა შეადგენს 100 (ასი) ლარს.

5. მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ხანდაზმულებს (100 წელი და ზევით) დახმარება მიეცემათ ერთჯერადად წელიწადში, თანხის ოდენობა შეადგენს 300 (სამასი) ლარს.

6. აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის საფასურის თანადაფინანსება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, ერთჯერადად გაეწევათ დედით ან მამით ობოლ, მარტოხელა დედის სტატუსის მქონე, მრავალშვილიანი (4 და მეტი შვილი, 18 წლის ჩათვლით) ოჯახებიდან, სოციალურად დაუცველი ოჯახების, რომელთაც აქვთ მინიჭებული 57000 ჩათვლით სარეიტინგო ქულა სტუდენტებს, რომლებიც არ სარგებლობენ სხვა სახელმწიფო პროგრამით და არა აქვთ მოპოვებული სახელმწიფო გრანტი.

განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლებელია დახმარება გაეწიოს ოჯახებს, ერთჯერადად, არაუმეტეს 2000 (ორი ათას) ლარამდე, სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე.

5.2.5 მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 05)

1. დედით ან მამით ობოლ ბავშვს, რომელსაც არ შესრულებია 18 წელი მიეცემათ 150 (ას ორმოცდაათი) ლარი წელიწადში ერთჯერადად;



2. მარტოხელა პენსიონერებს, რომელთაც არა ჰყავთ შვილი, შვილიშვილი ან სხვა კანონით გათვალისწინებული შრომისუნარიანი მარჩენალი გაეწევათ ერთჯერადი დახმარება 100 (ასი) ლარამდე.

3. მოქმედი კანონის წესით მიჩნეულ მარტოხელა დედებს გაეწევათ დახმარება 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

5.2.6 უფასო სასადილოს დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 06)

